სადოქტორო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი PhD in Business Administration
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ეკა გეგეშიძე
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180 ECTS

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- სადოქტორო პროგრამაზე მიიღებიან მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის არანაკლებ B2 (Intermediate) დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვან ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი საბუთს ან წარმატებით ჩააბარებენ (მინიმალური ბარიერი 60%) საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე მისაღები B2 (Intermediate) დონის შესაბამის ინგლისური ენის გამოცდას.
- პროგრამაზე მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს სადოქტორო თემის კონცეფცია (კვლევის საგანი, საკვლევი საკითხის აღწერა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთება, მომავალი კვლევის მეთოდები) და სამაგისტრო ნაშრომი.
- პროგრამაზე მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მიმართულების ორი პროფესორის ან/და ასოცირებული პროფესორის ან საქართველოს უნივერსიტეტის ემერიტუსის სარეკომენდაციო წერილი.

სკოლის საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს:

- კანდიდატის კვლევით უნარებს, რომელიც დგინდება სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე ან სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის ფარგლებში წარმოდგენილი მომავალი კვლევის მეთოდების საფუძველზე. კანდიდატის კვლევითი უნარები დამაკმაყოფილებელია, როდესაც კვლევის მეთოდოლოგია საკვლევი საკითხის/ჰიპოთეზის რელევანტურია.
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფციისა და თემატიკის შესაბამისობას სკოლის სამეცნიერო თემატიკასთან და რესურსთან. (იხილეთ ბმული: http://ug.edu.ge/geo/buisness.php.)

პროგრამის მიზნები:

- ბიზნესის ადმინისტრირებაში ფართო პროფილის მკვლევარი-მეცნიერის მომზადება დარგში ახალი მიმართულების ცოდნის შექმნის, გადაცემის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, რომელიც თავსებადია საერთაშორისო და ქვეყნის მოთხოვნებთან.
- დოქტორანტებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში შემოქმედებითი (ნოვატორული) იდეების გენერაცია, კრეატიული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ანალიტიკური უნარის გამომუშავება, მათი სხვებისათვის გააზრება და გავრცელება, აგრეთვე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება.

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია დასაქმდეს უმაღლეს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, კომერციულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურებში მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროა ორგანიზაცია-დაწესებულებები, კორპორაციული სტრუქტურები, აგრეთვე სამეწარმეო და არაკომერციული/ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც სჭირდებათ სიღრმისეული მეცნიერული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/აქტივობები:

- დისკუსიები;
- დებატები;
- პრაქტიკული მუშაობა;
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- სიახლეთა გარჩევა;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება;
- სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა;
- შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;

- წერითი მუშაობის მეთოდი;

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს ექნება:

- ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში მეთოდოლოგიური მიდგომების და მენეჯმენტთან ასოცირებულ კანონზომიერებათა უახლეს მიღწევებზე დამყარებული ფუნდამენტური ცოდნა;
- დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც გულისხმობს ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით არსებული ცოდნის გაფართოებასა და ნაწილობრივ გადაფასებას.
- ბიზნესის ადმინისტრირების დარგში არსებული ეთიკური პრობლემებისა და ამ პრობლემათა გადაჭრის უახლესი მექანიზმების ცოდნა;
- ბიზნესის მართვის თანამედროვე თეორიებისა და კონცეფციების ცოდნა, რომლებიც მეცნიერების უახლეს მიღწევებზეა დამყარებული და არსებული ცოდნის გაფართოების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- ბიზნეს–პროცესების ადმინისტრირებაზე ცოდნის კრიტიკულად გააზრების გზით, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- გაცნობიერებული ბიზნეს ადმინისტრირების დარგის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უახლესი მეთოდები;
- პროექტის საჭიროებათა იდენტიფიკაციისა და კვლევის, ასევე პროექტის მართვის ინოვაციური მეთოდების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის წარმართვისათვის სწავლების უახლესი მეთოდების ცოდნა;
- გაცნობიერებული ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მეცნიერებათა ფილოსოფიური ცოდნის განახლებული ფარგლები;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

კურსდამთავრებულს ექნება:

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და კოორდინაციის უნარი რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით;
- ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავების უნარები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების და ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების კვლევის უნარი;
- მენეჯერული კონსალტინგის ჩვევების განვითარებითა და გამოყენებითი ხასიათის ზოგადთეორიული ამოცანების გადაჭრით, დარგში არსებული რეალობის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების უნარი კომერციულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურებში მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.
- ინოვაციური, კვლევითი, პროფესიული და კომერციული პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების და ზედამხედველობის უნარი ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების და ინფორმციული ტექნოლოგიების საშუალებით;

დასკვნის უნარი:

კურსდამთავრებულს ექნება:

- ეკონომიკური პოლიტიკის და მენეჯერული სტრატეგიების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სტრუქტურული ცვლილებების შესახებ ახალი რთული და წინააღმდეგობრივი ჰიპოთეზების შეფასების უნარი, ინოვაციური მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის;
- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ექსპერტული შეფასების უნარი;
- პროექტების მართვის მულტიფატორული კრიტიკული ანალიზის და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის და ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების მიზნით სტრატეგიული ალტერნატივების შეფასების უნარი;
- რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შედეგების შეფასების უნარი;
- ბიზნესის სფეროში არსებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი მეცნიერული და ფილოსოფიური იდეების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი

კომუნიკაციის უნარი:

კურსდამთავრებულს ექნება:

- ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წარმოშობილი მეცნიერული საკითხების თანმიმდევრულად და ნათლად ფორმულირების, დაგეგმილი და მიღებული შედეგების შესახებ ახლებური მოსაზრებების არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის წარმოჩენისა და სამეცნიერო საზოგადოების წინაშე პრეზენტაციის ქართულ და ინგლისურ ენაზე ჩატარების უნარი;

- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან და მეცნიერთა ფართო წრეებთან ინგლისურ ენაზე ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული თემატურ პოლემიკაში მონაწილეობის უნარი;
- კვლევითი და ბიზნესის ადმინისტრირების პროექტის მართვასთან დაკავშირებით ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთკავშირის დასაბუთების მიზნით ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის უნარი;
- კვლევითი ნაშრომში ასახულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით პროფესიულ და სამეცნიერო საზოგადოებაში დისკუსიაში ჩართვის და საკუთარი აზრების დასაბუთების უნარი
- რეფერირებად/რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული საკუთარი დასაბუთებული მოსაზრებების პუბლიკაციის უნარი

სწავლის უნარი:
კურსდამთავრებულს ექნება:

- თვითშეფასების უნარი, რათა იყოს თვითკრიტიკული, მოახდინოს მცდარი დასკვნების მეცნიერული შეფასება და კორექტირება რეკომენდაციების შემუშავების მიზნით;
- საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი და სხვათა მეცნიერული დასკვნებისა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების განვითარების მზაობა;
- უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნიდან გამომდინარე ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ახალი იდეების შემუშავებისა და განვითარების მზაობა;

ღირებულებები:
კურსდამთავრებულს ექნება:

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელი ღირებულებები და ბიზნესის განვითარებაში ორიგინალური კვლევების მეშვეობით ამ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევის უნარი;
- მეცნიერული აზროვნებისათვის რელევანტურ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევის და აღნიშნულ ღირებულებათა დამკვიდრების ინოვაციური მეთოდების შემუშავების უნარი.

დოქტორანტის დატვირთვა		**კომპონენტის განმახორციელებელი პირი**	**ხანგრძლივობა**	**კრედიტები (ECTS)**
სასწავლო კომპონენტი	მეცნიერების ფილოსოფია	პროფ. თ. ბოჭორიშვილი	22 კვირა	10
	სწავლების მეთოდები	პროფ. შ.დუნდუა	22 კვირა	5
	პედაგოგიური პრაქტიკა	პროფ. მ.ჩხეიძე /შესაბამისი სკოლის პროფესორი (ხელმძღვანელი)	22 კვირა	5
	ტექსტის რეფერირება და თარგმნა	პროფ. მ.ჩხეიძე	22 კვირა	10
	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	პროფ.ქ. კუთხაშვილი	22 კვირა	5
	თვისობრივი კვლევის მეთოდები	პროფ. თ. ბოჭორიშვილი	22 კვირა	5
	კვლევითი პროექტის მომზადება და მართვა	პროფ. ე. გეგეშიძე	22 კვირა	10
	დარგობრივი მოდული (სპეციალობა)	შესაბამისი სკოლის პროფესორი	22 კვირა	10
კვლევითი კომპონენტი		დოქტორანტის ხელმძღვანელი		120

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

- დოქტორანტის დატვირთვა შედგება: სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან.
- სასწავლო წლის ხანგრძლივობა - 44 კვირა.
- სასწავლო კომპონენტების სწავლება სემესტრულია. სემესტრის ხანგრძლივობა განისაზღვრება 22 კვირით.
- კვლევითი კომპონენტები ხორციელდება ძირითადად მეორე და მესამე სასწავლო წელს. კვლევითი კომპონენტების ხანგრძლივობა განისაზღვრება 15 და 28 კვირით.
- სასწავლო კომპონენტებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი კომპონენტის ავტორები, კვლევით კომპონენტებს კი - დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის შესაძლებელია შეფასების შემდეგი სისტემის გამოყენება:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;	91% და მეტი;
ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;	81-90%;
გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;	71-80%;
დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;	61-70%;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;	51-60%;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;	41-50%,
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.	< 40%

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა

შედეგების საშუალო	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	A+	A	ფრიადი
94-96	A		
91-93	A-		
87-90	B+	B	ძალიან კარგი
84-86	B		
81-83	B-		
77-80	C+	C	კარგი
74-76	C		
71-73	C-		
67-70	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	D		
61-63	D-		
51-60	E	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება			
41-50	FX	FX	ვერ ჩააბარა
<40	F	F	ჩაიჭრა

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის და საქართველოს უნივერსიტეტის სხვა სკოლების პროფესორები.

სწავლების პროცესში შესაძლებელია კონსულტაციები მაღალკვალიფიციურ ქართველ და უცხოელ კოლეგებთან და შესაბამისი კვლევების განხორციელება, რაც უზრუნველყოფილია თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმებით საბანკო და საფინანსო სტრუქტურებთან, ბიზნეს ასოციაციებთან და კორპორაციებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კერძოდ: მატერიალური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამის განსახორციელებლად არსებობს თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა: კომპიუტერული ლაბორატორიები და ცენტრები; ელექტრონული ჟურნალები და ბაზები; საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ა.შ.

უსაფრთხოების მიზნით შენობაში განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები და 24 საათის განმავლობაში უნივერსიტეტის

თითოეულ კორპუსს ემსახურება დაცვა; დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უახლესი ტიპის ცეცხლმაქრი ბალონები, სათადარიგო სახანძრო კიბე, მეოთხე კორპუსში თანამედროვე ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა; თითოეული კორპუსის ყოველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უნივერსიტეტში არის ექიმის კაბინეტი.

პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2006 30 ნოემბერი #4 გადაწყვეტილებით.
პროგრამის განახლების თარიღი: 16.12.2014 პროგრამის განახლების ოქმის ნომერი: 55-14